მიზნობრივი სამეცნიერო კვლევითი პროგრამის დებულება

1. მიზნობრივი სამეცნიერო კვლევითი პროგრამის ფარგლებში სამეცნიერო გრანტების განაწილებას განსაზღვრავს ფაკულტეტის საბჭო რექტორის #22/04, 30.12.2014 ბრძანების თანახმად და წინამდებარე დებულების საფუძველზე.
2. მიზნობრივი სამეცნიერო კვლევითი პროგრამის დანიშნულებაა სტუდენტების ჩართვა ფაკულტეტის პერსონალის სამეცნიერო კვლევით სამუშაოებში.
3. პროექტის შესრულების ვადები განისაზღვროს შემდეგნაირად
   - პროექტის დასაწყისი - არაუადრეს 2015 წლის 15 აპრილისა
   - პროექტის დამთავრება - არაუგვიანეს 2015 წლის 28 დეკემბრისა.
4. პროექტში სავალდებულოა არანაკლებ 2 სტუდენტის ჩართვა. პროექტში ჩართული სტუდენტს უნდა ჰქონდეს
   a. აქტიური სტუდენტის სტატუსი;
   b. არანაკლებ 3.0 GPA;
   c. სწავლების საფეხურის შესაბამისად დაგროვებული კრედიტები ან მოხსენება, კერძოდ, არანაკლებ
      i. 150 კრედიტი ბაკალავრიატში ან
      ii. 30 კრედიტი მაგისტრატურის პირველ კურსზე ან
      iii. 90 კრედიტი მაგისტრატურის მეორე კურსზე ან
      iv. დოქტორანტის 1 სამეცნიერო მოხსენება საფაკულტეტო კონფერენციაზე.
5. ფაკულტეტის პერსონალს და სტუდენტს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს მხოლოდ ერთ პროექტში.
6. პროექტის ბიუჯეტის ფორმირებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი მოთხოვნები
   a. პროექტში ჩართული პერსონალის ჯამური შრომის ანაზღაურება, გარდა სტუდენტების შრომის ანაზღაურებისა, არ უნდა აღემატებოდეს პროექტის ბიუჯეტის 30%-ს.;
   b. პროექტის პერსონალის ხელფასი არ უნდა აღემატებოდეს 125 ლარს თვეში;
   c. სტუდენტზე ხელფასის გათვალისწინებული უნდა იქნეს მხოლოდ იმ ვადით რა ვადითაც მას შეიძლება ქონდეს აქტიური სტუდენტის სტატუსი 2015 წლის 20 მარტის მდგომარეობით.
7. პროექტის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე და ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია პროექტში მონაწილე სტუდენტი ჩანაცვლდეს სხვა სტუდენტით.
8. პროექტების დასაფინანსებლად სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის თემატიკის შესაბამისად დეპარტამენტებს განესაზღვროს შემდეგი ბიუჯეტი:
   a. მათემატიკა - 11000 ლარი
   b. კომპიუტერული მეცნიერება - 11000 ლარი

c. ფიზიკა - 11000 ლარი
d. ქიმია - 11000 ლარი
e. ბიოლოგია - 11000 ლარი
f. გეოგრაფია - 11000 ლარი
g. გეოლოგია - 5250 ლარი
h. ელექტრონიკა - 3750 ლარი

9. 2015 წლის 16 მარტის 18 საათამდე დანართი 1-ის შესაბამისად შედგენილი საპროექტო განაცხადი წარდგენილი უნდა იქნას ფაკულტეტის კანცელარიაში ელექტრონული და ბეჭდური სახით.
10. დაევალოს ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევების სამსახურს უზრუნველყოს
    a. 17.03.2015-22.03.2015 პერიოდში წარდგენილი პროექტების ტექნიკური შემოწმება და ხარვეზის არსებობის შემთხვევაში პროექტის ხელმძღვანელის ინფორმირება პროექტის კორექტირების მიზნით;
    b. კორექტირებული პროექტების მიღება 23.03.2015-29.03.2015 პერიოდში;
    c. ტექნიკურად გამართული პროექტების მიწოდება შესაბამისი დეპარტამენტის ხელმძღვანელისთვის არაუგვიანეს 31.03.2015;
    d. წარდგენილი პროექტების შესახებ კრებსითი ინფორმაციის განთავსება ფაკულტეტის ვებ გვერდზე არაუგვიანეს 31.03.2015.
11. დეპარტამენტის ხელმძღვანელებმა უნდა უზრუნველყონ
    a. წარდგენილი პროექტის განხილვა დეპარტამენტის საერთო კრებაზე არაუგვიანეს 10.04.2015;
    b. ფაკულტეტის კანცელარიაში პროექტების დაფინანსებაზე შუამდგომლობა/ წარდგინება არაუგვიანეს 11.04.2015;
12. პროექტი უნდა განხილულ იქნეს
    a. იმ დეპარტამენტის საერთო კრების მიერ, რომელი დეპარტამენტის პროფილის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებითაც არის დაკომპლექტებული პროექტის პერსონალი. ამ წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, როცა დეპარტამენტი თანახმაა დააფინანსოს სხვა დეპარტამენტის პროფილის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი;
    b. სპეციალური კომისიის მიერ, თუ პროექტში მონაწილე სტუდენტების საგანმანათლებლო პროგრამები შეესაბამება რამდენიმე დეპარტამენტის პროფილს. კომისიის ფორმირებაზე პასუხისმგებელია დეკანის მოადგილე სამეცნიერო დარგში და მის შემადგენლობაში შედიას: დეკანის მოადგილე სამეცნიერო დარგში(თავმჯდომარე), შესაბამისი დეპარტამენტების ხელმძღვანელები და სხვა პერსონალი პარიტეტულ საწყისებზე.
13. პროექტების დაფინანსების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საბჭო შემდეგი მონაცემების საფუძველზე:

a. დეპარტამენტის ხელმძღვანელის წარდგინება და კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც შეირჩა პროექტი;
b. პროექტის ხელმძღვანელის მონაცემებს წარმოდგენილი პროექტის კონტექსტში;
c. პროექტში ჩართული სტუდენტების საშუალო GPA-ს;
d. გამოყოფილ ბიუჯეტს და პროექტში ჩართულ სტუდენტთა რაოდენობას.

14. პროექტის მიმღებმა ჯგუფმა უნდა უზრუნველყოს
    a. პროექტში მონაწილე სტუდენტების ინდივიდუალური ანგარიშის ჩართვა პროექტის შუალედურ და საბოლოო ანგარიშში;
    b. ფაკულტეტის საბჭოსთვის შუალედური ანგარიშის წარდგენა 2015 წლის 15 ოქტომბრამდე;
    c. ფაკულტეტის საბჭოსთვის ფინანსური და პროგრამული ანგარიშის წარდგენა 2016 წლის 30 იანვრამდე;
    d. 2016 წლის საფაკულტეტო კონფერენციაზე პროექტში მიღებული შედეგების შესახებ მოხსენების გაკეთება;
    e. საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალში სამეცნიერო პუბლიკაციის წარდგენა პროექტის დასრულებიდან 12 თვის განმავლობაში და შესაბამისი დოკუმენტის წარდგენა ფაკულტეტის კანცელარიაში 2016 წლის 28 დეკემბრამდე.

15. ამ დებულების შესაბამისად 2015 წელს დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების საკითხი განხილული იქნეს ფაკულტეტის საბჭოზე, კერძოდ
    a. შუალედური ანგარიში - 2015 წლის ოქტომბერში;
    b. საბოლოო ანგარიში - 2016 წლის თებერვალში;
    c. პუბლიკაციის წარდგენის ვალდებულება - 2017 წლის იანვარში.

დანართი 1

წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა

- განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ (დანართი №2);
- საპროექტო წინადადება(დანართი№3)
- პროექტში მონაწილე სტუდენტებისთვის ცნობა აქტიური სტუდენტის სტატუსის შესახებ და ამონაწერი სასწავლო ბარათიდან.

დანართი 2

განცხადება

მიზნობრივი სამეცნიერო კვლევითი პროგრამის ფარგლებში განსახილველად წარმოგიდგენთ

პროექტს სახელწოდებით: _____

საერთო ბიუჯეტით : _____ **ლარი**

ვინ უნდა განიხილოს (დეპარტამენტი/კომისია)	

პროექტის წარმომდგენი:

	სამეცნიერო ჯგუფის წევრები(გვარი, სახელი)	**როლი პროექტში**	**სამუშაო ადგილი, პოზიცია**	**ხელმოწერა**
1.		სამეცნიერო ხელმძღვანელი		
2.				
3.				

<u>თარიღი</u>

დანართი N 3

საპროექტო წინადადების ფორმა

1. ***აქტუალობა, მიზანი და ამოცანები***

   (აღწერეთ პროექტის ძირითადი მიზანი, აქტუალობა და დასახეთ კონკრეტული ამოცანები)

ამოცანების ჩამონათვალი

#	ამოცანის დასახელება
1	
2	
3	
4	
n	

2. ***კვლევის მეთოდიკა და მოსალოდნელი შედეგები***

(აღწერეთ: პროექტში დაგეგმილი ამოცანების გადასაჭრელად საჭირო მეთოდები და საშუალებები/გზები, მათი დასაბუთება; მიუთითეთ თითოეული ამოცანის შესრულების ინდიკატორი)

#	ამოცანების შესრულების ძირითადი ინდიკატორები
1	
2	
3	
4	
n	

პროექტის მონაწილეების პროფესიული ბიოგრაფიები (CV)

ივსება თითოეული მონაწილისთვის - არაუმეტეს ერთი გვერდისა

ბიუჯეტი

#	ხარჯვის კატეგორიების ჩამონათვალი	თანხა		
		I ტრანში	II ტრანში	III ტრანში
1	გრანტის მიმღებ ფიზიკურ პირთა საგრანტო დაფინანსება (შრომის ანაზღაურება)			
2	მივლინება			
	ქვეყნის შიგნით			
	ქვეყნის გარეთ			
3.	(შეგიძლიათ დაამატოთ სხვა სასურველი კატეგორია)			
სულ				